1941

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. 15 ოქტომბერი № 25 თბილისი

შინაარსი

ხალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

151. სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალაროს სანიმუშო წესდების დამტკიცების შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალაროს სანიმუშო წესდება.

F556

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

151. სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალაროს სანიმუშო წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალაროს სანიმუშო წესდება, წარმოდგენილი საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს იურიდიულ ბიუროს დაბეჭდოს ბროშურების სახით სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალაროს სანიმუშო წესდება და დაუგზავნოს საქართველოს სსრ ყველა კოლმეურნეობას.

3. გაუქმდეს კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალაროს დროებითი ტიპიური წესდება, დამტკიცებული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 27 მაისის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 14, მუხ. 202; 1935 წ. № 16, მუხ. 104; № 31, მუხ. 195).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოად. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 25 სექტემბერი № 1732.
თბილისი.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალაროს სანიმუშო წესდება

I. საერთო დებულებანი

1. ინვალიდ კოლმეურნეთა შრომითი მოწყობისა და შრომისუნარ დროებითი ან სამუდამოდ დაკარგული კოლმეურნეებისათვის, აგრეთვე წითელარმიელთა ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, სასოფლო-სამეურნეო არტელთან . . . . . ეწყობა საზოგადოებრივი ურთიერთ დახმარების სალარო.

2. საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალარო ეწყობა ნებაყოფლობითს საფუძვლებზე კოლმეურნეობის წევრთა უფლებამოსილი საერთო კრების დადგენილებით, რომელიც მიღებულია დამსწრეთა ხმის უბრალო უმრავლესობით.

3. სალარო მომქმედად ითვლება იმ დროიდან, რაც მისი წესდება რეგისტრაციაში გაატარა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა.

4. სალარო წარმოადგენს დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციას და ყველა თავისი ვალდებულებებისათვის პასუხისმგებელია თავისი ქონებით.

სალარო არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობს სასოფლო-სამეურნეო არტელის ვალებისა და ვალდებულებებისათვის, ისევე როგორც არტელი პასუხს არ აგებს სალაროს ვალებისა და ვალდებულებებისათვის.

5. სალარო სარგებლობს იურიდიული პირის ყოველგვარი უფლებით და უფლება აქვს საკუთრებად შეიძინოს ქონება, გასცეს ვალდებულებანი, გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ.

6. სალაროს აქვს ბეჭედი და შტამპი თავისი სახელწოდებით.

7. სალაროს მოქმედების რაიონია: სასოფლო-სამეურნეო არტელი . . .
. . . . . .

II. სალაროს ამოცანები

8. საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალაროს ამოცანას წარმოადგენს შეინახოს ობოლი ბავშვები, დახმარება აღმოუჩინოს სალაროს წევრებს შრომის უნარის დროებითი ან მუდმივი დაკარგვის შემთხვევებში, მოხუცებულობის გამო და გასცეს სესხი კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის.

9. ამ წესდების მე-8 მუხლით გათვალისწინებული ამოცანების შესაბამისად, ურთიერთდახმარების სალარო:

ა) დახმარებას აძლევს სალაროს წევრებს შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს, აგრეთვე სტიქიური უბედურების შემთხვევაში;

ბ) დახმარებას აძლევს სალაროს წევრებს შრომის უნარის სამუდამოდ დაკარგვის (ინვალიდობის) და მოხუცებულობის გამო;

გ) დახმარებას აძლევს წითელარმიელთა ოჯახის წევრებს, რომლებიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებენ;

დ) ინახავს ობოლ ბავშვებს საბავშვო სახლებში და ბავშვთა აღსაზრდელ სხვა დაწესებულებებში; დახმარებას უწევს იმ მშობელთა შვილებს, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ (სტიქიური უბედურების, ოჯახის წევრთა ავადმყოფობის ან გარდაცვალების შემთხვევაში); დახმარებას იძლევა იმ ობოლ ბავშვთა შესანახავად, რომლებიც გადაცემული არიან აღსაზრდელად კოლმეურნეობის წევრთა ოჯახებში (პატრონატები);

ე) საჭირო შემთხვევებში საპროტეზო, სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სასანატორო-საკურორტო დახმარებას უწევს თავის წევრებს;

ვ) ხსნის სახლებს სალაროს წევრ მარტოხელა ინვალიდებისა და მოხუცებულებისათვის, რომლებიც სხვის მოვლას საჭიროებენ;

ზ) იძლევა სესხს სალაროს წევრთა სამეურნეო-კულტურული საჭიროებისათვის;

თ) ანხორციელებს სალაროს წევრ ინვალიდთა შრომითს მოწყობას.

სალარო დახმარებასა და სესხს იძლევა, როგორც ფულადი ფორმით, ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატურითაც, ამასთან დახმარების და სესხის რაოდენობას, აგრეთვე სესხის დაბრუნების ვადებს აწესებს სალაროს გამგეობა, რასაც შემდგომ ამტკიცებს სალაროს წევრთა საერთო კრება.

ურთიერთდახმარების სალარო დახმარებას არ უწევს სალაროს იმ წევრებს, რომლებიც სისტემატურად არღვევენ შრომის დისციპლინას კოლმეურნეობაში და დაუდევრად ეკიდებიან საზოგადოებრივ ქონებას.

10. სალაროს წევრ-ინვალიდთა შრომითს მოწყობას (პ. „თ" მუხ. 9) სალარო ანხორციელებს იმ დამხმარე საწარმოების მეშვეობით, რომლებსაც საოფლო-სამეურნეო არტელის გამგეობა აწყობს კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროების მომსახურებისათვის (საპარიკმახეროები, ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოები, აბანოები, ბოსტნები, წვრილი მეცხოველეობის საწარმოები და სხვ.).

11. სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების დავალებით და მათ მიერ სპეციალურად გაღებული სახსრების ანგარიშში საზოგადოებრივი, ურთიერთდახმარების სალარო პენსიებსა და დახმარებას აძლევს სალაროს წევრებს, რომელთაც დანიშნული აქვთ სახელმწიფო უზრუნველყოფა (ომის ინვალიდები, მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში გაწვეულთა ოჯახები და სხვ.).

12. სალარო თავის საქმიანობას ანხორციელებს სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილების უშუალო ხელმძღვანელობითა და კონტროლით. ურთიერთდახმარების სალარო თავისი მუშაობის შესახებ პერიოდულად აბარებს ანგარიშს სალაროს წევრთა საერთო კრებას.

III. სალაროს შემადგენლობა, სალაროს წევრთა უფლება-მოვალეობანი

13. სალაროს წევრად შეიძლება იყოს 16 წლის ასაკს მიღწეული იმ საოფლო-სამეურნეო არტელის ყველა წევრი რომელთანაც მოწყობილია სალარო.

14. სალაროს წევრები, რომლებიც გაწვეული არიან წითელ არმიაში, მივლინებული არიან პარტიულ, საბჭოთა ან კოოპერატიულ სამუშაოზე, აგრეთვე გაგზავნილი არიან სასწავლებლებში, კურსებზე ან საშოვარზე არიან წასული, რჩებიან სალაროს წევრებად, თუ ისინი კვლავ ირიცხებიან კოლმეურნეობის წევრებად. კოლმეურნეობიდან გარიცხული პირები სალაროს წევრობიდანაც გაირიცხებიან.

15. სალაროს წევრებს უფლება აქვთ:

ა) მონაწილეობა მიიღონ სალაროს საერთო კრებაზე;

ბ) აირჩიონ და არჩეულ იქნან სალაროს ყველა არჩევითს თანამდებობაზე.

შენიშვნა. ის პირები, რომელთაც 18 წელი არ შესრულებიათ, არ შეიძლება არჩეულ იქნან სალაროს მმართველობისა და კონტროლის ორგანოებში.

16. სალაროს წევრები მოვალენი არიან:

ა) დახმარება გაუწიონ სალაროს ამოცანების განხორციელების საქმეს;

ბ) შეიტანონ შესასვლელი და საწევრო შესატანები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შეასრულონ სალაროს წევრთა საერთო კრებებისა და გამგეობის დადგენილებანი.

17. კოლმეურნეობის თითოეულ წევრს, რომელიც სალაროს წევრად შედის, შეაქვს შესასვლელი გადასახადი ხუთი მანეთის რაოდენობით და იხდის საწევრო შენატანებს თავისი შემოსავლის (რასაც მიიღებს როგორც კოლმეურნეობაში, ისე მის გარეთ) პროცენტული ანარიცხის სახით იმ ოდენობით, რასაც ყოველწლიურად დააწესებს სალაროს წევრთა საერთო კრება, მაგრამ არაუმეტეს ერთი პროცენტისა.

შენიშვნა. სალაროს წევრობიდან გასვლის დროს შესასვლელი გადასახადი დაუბრუნდება შენატანის 50%-ის რაოდენობით.

18. სალაროს წევრები მოვალე არიან თავის დროზე გადაიხადონ დაწესებული საწევრო გადასახადი. დააბრუნონ სესხი, შეასრულონ საზოგადოებრივი ურთიერთდახმარების სალაროს წევრთა საერთო კრებების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობანი და დავალებანი.

19. სალაროს წევრი, რომელსაც შემდეგი წლის მეორე კვარტალის გასვლამდე არ გადაუხდია წინა წლის საწევრო გადასახადი, გაირიცხება სალაროს წევრთა შემადგენლობიდან.

20. სალაროს წევრთა ვალებისათვის სალარო პასუხს არ აგებს.

სალაროს წევრები სალაროს ვალებისათვის პასუხს აგებენ მხოლოდ შესასვლელი და საწევრო შენატანებით.

IV. სალაროს სახსრები

21. სალაროს სახსრები შესდგება:

ა) შესასვლელი და საწევრო გადასახადებისაგან;

ბ) დახმარების ფონდების ანარიცხებისაგან, რაც გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების II მუხლის „გ" პუნქტით (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 11 მუხ. 82; 1937 წ. № 54, მუხ. 232) და რაც ურთიერთდახმარების სალაროს გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა საერთო კრების დადგენილებით;

გ) გლეხურ კომლთა სასამართლოს მიერ ან ადმინისტრატიული წესით კონფისკებული, აგრეთვე ბეითალმანი და უპატრონო ქონებისაგან, გარდა იმ ქონებისა, რაც გათვალისწინებულია სპეციალური დადგენილებებით.

დ) ჯარიმებისა და სხვა თანხებისაგან, რომლებსაც სასოფლო, საზოგადოებრივი სასამართლოების გადაწყვეტილებით ახდევინებენ, აგრეთვე იმ ჯარიმებისაგან, რომლებსაც ახდევინებენ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილებით, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების 17 მუხლის თანახმად;

ე) სხვა შემოსავლისაგან.

შენიშვნა. ამ მუხლის „ბ" პუნქტის თანახმად კოლმეურნეობისაგან მი-

ღებული ანარიცხების გამოყენების შესახებ სალარო პერიოდულად აბარებს ანგარიშს კოლმეურნეთა საერთო კრებას.

22. სალაროს ფულადი სახსრები ინახება ცალკე ანგარიშებზე სახელმწიფო ბანკში ან შემნახველ სალაროში, ხოლო ნატურალური სახსრები ინახება სასოფლო სამეურნეო არტელის მარცვალსაცავებში.

23. სალაროში შემოსული მთელი სახსრების არანაკლებ 5%-სა მოხმარდება სალაროს სათადარიგო ფონდის შექმნას. სათადარიგო ფონდში ანარიცხების შეტანა სწყდება, იმ დროიდან, როდესაც ამ ანარიცხების ოდენობა სალაროს წლიური გასავლის საერთო თანხის 30% მიაღწევს.

სალაროს ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს სალაროს შემოსავლის 10%-ს.

სალაროს მთელი დანარჩენი სახსრები ოპერატაულ ფონდს შეადგენენ და იხარჯება იმ სახის დახმარებისათვის, რაც აღნიშნულია ამ წესდების მე-9 მუხლში.

24. სახსრების და ფონდების ხარჯვა სწარმოებს შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებით, რომლებსაც სალაროს წევრთა საერთო კრება ამტკიცებს.

V. სალაროს მმართველობისა და რევიზიის ორგანოები

25. სალაროს მმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ:

ა) საერთო კრება,

ბ) გამგეობა,

კონტროლის ორგანოს წარმოადგენს სარევიზიო კომისია.

ა. საერთო კრება

26. სალაროს წევრთა საერთო კრება წარმოადგენს ურთიერთდახმარების სალაროს საქმეთა მმართველობის უმაღლეს ორგანოს.

27. საერთო კრება:

ა) ირჩევს სალაროს თავმჯდომარეს (იგივე გამგეობის თავმჯდომარე) და სალაროს გამგეობას, აგრეთვე სარევიზიოს კომისიას;

ბ) აწარმოებს სალაროს წევრთა მიღებასა და გარიცხვას;

გ) აწესებს სალაროს ფონდების ოდენობას;

დ) ამტკიცებს სალაროს საქმიანობის გეგმას და შემოსავალ გასავლის ხარჯთაღრიცხვებს, გამგეობის ანგარიშებსა და სარევიზიო კომისიის აქტებს;

ე) ადგენს დახმარების გაცემის წესს და მის რაოდენობას;

ვ) ადგენს საწევრო შენატანების რაოდენობას და მათი გადახდის წესს;

ზ) შეაქვს ცვლილებანი სალაროს წესდებაში;

თ) გადასჭრის სალაროს ამოცანებიდან გამომდინარე სხვა საკითხებს;

28. საერთო კრება უფლებამოსილია გადასჭრას საკითხები იმ შემთხვევაში, თუ მას ესწრება სალაროს წევრთა საერთო რიცხვის ნახევარი მაინც, გარდა 27 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „ზ“ პუნქტებში აღნიშნული საკითხებისა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა გადასაჭრელად საჭიროა სალაროს წევრთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ორი მესამედის დასწრება.

საერთო კრებების დადგენილებანი მიიღება სალაროს წევრთა ხმის ჩვეულებრივი უმრავლესობით და შეიტანება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი.

ბ. გამგეობა

29. სალაროს გამგეობა აირჩევა ღია კენჭისყრით 2 წლის ვადით, გამგეობის წევრთა შემადგენლობა განისაზღვრება 5-დან 7 კაცამდე, სალაროს წევრთა რიცხვის მიხედვით.

სალაროს გამგეობა მოვალეა პერიოდულად, კვარტალში ერთხელ, მაინც, ანგარიში ჩააბაროს საერთო კრებას სალაროს საქმიანობის შესახებ.

30. გამგეობა წარმოადგენს სალაროს აღმასრულებელ ორგანოს. სალაროს გამგეობას ეკისრება:

ა) თვალყური ადევნოს სალაროს კუთვნილი სახსრების თავისდროზე შემოსვლას;

ბ) დაუნიშნოს და მისცეს სალაროს წევრებს დახმარება, აგრეთვე გასწიოს სხვა ხარჯები სალაროს წევრთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

გ) დასდოს ხელშეკრულებანი და იკისროს ვალდებულებანი სალაროს სახელით:

დ) განკარგოს სალაროს ქონება;

ე) შეადგინოს ანგარიშები, მუშაობის გეგმის და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვები და დასამტკიცებლად წარუდგინოს საერთო კრებას;

ვ) ჩაატაროს მუშაობა სალაროს ყველა იმ ამოცანის განსახორციელებლად, რომლებიც გათვალისწინებულია ამ წესდებით, გარდა იმ ფუნქციებისა, რომლებიც საერთო კრების კომპენტენციას შეადგენს;

ზ) მოიწვიოს სალაროს წევრთა საერთო კრებები.

გ. სარევიზიო კომისია

31. სარევიზიო კომისია ამოწმებს გამგეობის მთელ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას, ამოწმებს—გატარებულია თუ არა დადგენილი წესით სალაროს შემოსავალში მთელი ფულადი და ნატურალური შემოსავალი, დაცულია თუ არა სახსრების ხარჯვის წესი, რომელსაც წესდება ითვალისწინებს, ადგილი ხომ არა აქვს სალაროს ქონებისა და ფულადი სახსრების დატაცებას.

32. სარევიზიო კომისია რევიზიას ახდენს კვარტალში ერთხელ მაინც. რევიზიის აქტს ამტკიცებს საერთო კრება. აქტების ასლს სარევიზიო კომისია წარუდგენს სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებას.

33. თავის საქმიანობაში სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია სალაროს წევრთა საერთო კრების წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI. სალაროს ანგარიშგება და ანგარიშწარმოება

34. სალაროში აღრიცხვა და ანგარიშწარმოება ხორციელდება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციების შესაბამისად.

35. სალაროს საქმიანობის შესახებ ანგარიშს გამგეობა დასამტკიცებლად წარუდგენს სალაროს საერთო კრებას და ამავე დროს გაუგზავნის სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებას.

გასული წლის ანგარიში და სალაროს საქმიანობის შემდეგი წლის საფინანსო-ოპერატიული გეგმა აუცილებლად უნდა განიხილოს და დაამტკიცოს სალაროს წევრთა საერთო კრებამ არა უგვიანეს შემდეგი წლის პირველი თვისა.

VII. სალაროს ლიკვიდაცია

36. სალაროს მუშაობა სწყდება სალაროს წევრთა საერთო კრების დადგენილებით.

37. სალაროს საქმეთა ლიკვიდაციისათვის საერთო კრება აირჩევს სალიკვიდაციო კომისიას, რომელიც სალაროს საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ანგარიშს თავისი მუშაობის შესახებ.

38. სალაროს ლიკვიდაციის შემდეგ, დარჩენილი ფულადი თანხები ან სხვა ქონება, აგრეთვე სალაროს საქმეები გადაეცემა იმ კოლმეურნეობას, რომელთანაც სალარო იმყოფებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.

შეკვეთა № 1849. ტირაჟი 1.600.